ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„ დამტკიცებულია შესწორებებით “	„დამტკიცებულია შესწორებებით “
რექტორი პროფ. როლანდ კოპალიანი აკადემიური საბჭოს დადგენილება №8 6 ნოემბერი 2020 წელი	დეკანი პროფ. ნანა შონია ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 17 2 ივლისი 2020 წელი

სამაგისტრო პროგრამა

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ქუთაისი
2020

კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**სამართალი**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	**სამართლის მაგისტრი** **Master of Law**
ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	**ია ჩხეიძე,** სამართლის დოქტორი, აწსუ-ს სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **მარი მარინაშვილი,** სამართლის დოქტორი, აწსუ-ს სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს.
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სტუდენტს საშუალება აქვს სისხლის, კერძო და საჯარო სამართლის კონცენტრაციებიდან აირჩიოს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები.
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	აკრედიტაცია: 4.06.2012; გადაწყვეტილება №52. შემუშავება და განახლება: ➢ სამართლის დეპარტამენტის 19.05.2011, №5; 29.08.2011, №1; 29.02.2012, №7; 11.05.2012, №8; 15.04.2016, №5; 30.06.2017, №8; 22.03.2019, №5; 20.12.2019, №5; 13.06.2020, №10 ოქმების ამონაწერები. ➢ ფაკულტეტის საბჭოს 31.05.2011, №17; 25.05.2012, №13; 15.02.2013, №6; 05.05.2015, №7; 5.09.2017, №1; 26.03.2019, №13; 24.12.2019, №8; 2.07.2020, №17 ოქმების ამონაწერები. ➢ აკადემიური საბჭოს 31.08.2011, №1 (11/12); 5.09.2012, №4 (12/13); 29.05.2013, №99 (12/13); 28.05.2015, №68 (14/15); 15.09.2017, №1 (17/18); 12.09.2019, №2 (19/20); №8 (2020-2021) დადგენილებები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- ➢ სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- ➢ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- ➢ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება, რომელიც შედგება:
- - გამოცდა სპეციალობაში - გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, მოიცავს 3 საკითხს შესაბამის მიმართულებაში. გამოცდა სპეციალობაში ითვალისწინებს აპლიკანტის ზოგადთეორიული ცოდნის შემოწმებას საჯარო სამართლის მიმართულებით: საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის პროცესის საკითხებიდან, კერძო სამართლის მიმართულებით: სამოქალაქო სამართლის შესავალი ნაწილის, სანივთო სამართლის, სახელშეკრულებო სამართლის, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებიდან, სისხლის სამართლის მიმართულებით სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილებიდან, ასევე სისხლის სამართლის პროცესიდან.
- - უცხო ენის ფლობის დასადგენი გამოცდა - ტარდება ტესტირების ფორმით. აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს უცხო ენის ცოდნას B2 დონეზე .
- ➢ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია

	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ [http://eqe.ge/res/docs/10%E1%83%9C_16.03.2018.pdf] და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ დადგენილება (№12 (17/18)).
პროგრამის მიზანი	
სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია საჯარო თუ კერძო სექტორისთვის მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების მქონე კვალიფიციური კადრების მომზადება; კურსდამთავრებულის აღჭურვა, როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი ანალიტიკური, კვლევითი და პრაქტიკული უნარებით. პროგრამის მიზანია სტუდენტს: 1. მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევების, განვითარების პერსპექტივებსა და ძირითადი ტენდენციების შესახებ; საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთმიმართების შესახებ; თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ ცნებებსა და პრინციპებზე; იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე; თანამედროვე კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ; ხარვეზების სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითადი გზების შესახებ; აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხების შესახებ; პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი წესების შესახებ; შედარებითი სამართლის არსისა და მეთოდების შესახებ; 2. გამოუმუშავოს სამართლებრივი ინფორმაციის გაანალიზების უნარი; შესაბამისი სფეროსთვის მიკუთვნებული პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების და სტრატეგიის განსაზღვრის უნარი; პრაქტიკასა თუ თეორიაში უახლესი ცვლილებების, არსებული პრობლემური საკითხების გამოვლენის, საკუთარი პოზიციის და ობიექტური დასკვნების გაკეთების, ანალიტიკური აზროვნების უნარი; პროფესიულ დონეზე სამართლის ნორმების განმარტების, კომუნიკაციის ეფექტური მეთოდების გამოყენების უნარი; სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შემუშავების უნარი; საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების წერითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი. 3. ჩამოუყალიბოს ეთიკური ღირებულებები, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის უნარები, კერძოდ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას ეთიკის, სამართლიანობისა და მორალის ძირითადი პრინციპები; დაიცვას აკადემიური პატიოსნების წესები; ჩამოუყალიბოს ნაშრომის მოსამზადებლად სამუშაო დროის დაგეგმვის უნარი; თანამედროვე სამართლებრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებისა და შესაბამის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; ჩამოუალიბოს პრობლემური საკითხების კოლექტიურად გადაწყვეტის, შეფასებისა და გაზიარების უნარი; ჩამოუყალიბოს დემოკრატიული ღირებულებებისადმი პატივისცემის უნარი.	
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	
სამართლის სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლა კურსდამთავრებულს უქმნის მყარ საფუძველს სწავლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.	
სწავლის შედეგი **სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:**	
1. **ცოდნა და განობიერება**	აღწერს: 1.1 ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევებსა და განვითარების პერსპექტივებს პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს; საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთმიმართებას; 1.2 თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ ცნებებსა და პრინციპებს; იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს; 1.3 სამეცნიერო წერის საფუძვლების განხილვისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელების საფუძველზე აღწერს სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და

	აკადემიური ეთიკის საკითხებს. ასევე, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებსა და პრინციპებს; თანამედროვე კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებისა და გამოწვევებს, ხარვეზების სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს; შედარებითი სამართლის არსსა და მეთოდებს.
2. უნარი	2.1 სხვადასხვა სამართლის დარგში არსებული შიდაეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, სამართალწარმოებისა და სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული გაცნობის შემდეგ აანალიზებს მოქმედ კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკას, რის საფუძველზეც აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, აიდენტიფიცირებს არსებულ პრობლემებს და შეიმუშავებს სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის საკუთარ ორიგინალურ გზებს; 2.2 განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილების როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგებს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულაციისას და ეყრდნობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პრიორიტეტულობას; 2.3 აცნობიერებს გადაწყვეტილების მიღებისას დისკრიმინაციის დაუშვებლობას. სამართლის დარგის მარეგულირებელი ნორმების, ნოვაციების, ახალი ინსტიტუტების, ცალკეული სამართლებრივი დარგების თავისებურებების სამართლებრივი აღწერის, შესაბამისი მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შემდეგ პროფესიულ დონეზე განმარტავს სამართლებრივ ნორმებს. რის საფუძველზეც, ასევე ამოიცნობს აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას და გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს; 2.4 სასამართლო გადაწყვეტილებათა, სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაწყვეტის შესახებ მეცნიერული არგუმენტების ანალიზის, შესაბამის საკითხზე უცხოური სამართლებრივი წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების, სამეცნიერო წერის საფუძვლების გაცნობის შედეგად შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით ნაშრომს; ახდენს საკუთარი კვლევის შედეგების ზეპირად და წერილობითი სახით, მყარ არგუმენტებზე დაფუძნებულ კომუნიკაციას.
3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	3.1 პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას დაიცავს ეთიკის, სამართლიანობისა და მორალის ძირითადი პრინციპებს; 3.2 სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ძირითად პრინციპების გაცნობის, განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შედეგად პატივს ცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, არ მიმართავს პლაგიატს, ახდენს ზუსტ და ცხად ციტირებებს, საწინააღმდეგო აზრს განიხილავს პატივისცემით; ეფექტური კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით, კი სწორად გეგმავს კვლევის პროცესს; 3.3 ავლენს თანამედროვე სამართლებრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებისა და შესაბამის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს; 3.4 შეძლებს პრობლემური საკითხების კოლექტიურად გადაწყვეტას, შეფასებას და გაზიარებას; გამოხატავს პატივისცემას დემოკრატიული ღირებულებებისადმი და აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

სწავლების მეთოდები

თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების კომბინაციაზე დამყარებული ინტერაქტიული სწავლება ემსახურება სტუდენტის დამოუკიდებელი განვითარების ხელშეწყობას, რაც დასაქმების ბაზრის შესაბამისი ცოდნის მიღებას, უნარჩვევებისა და ღირებულებების გამომუშვებას ისახავს მიზნად. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ მეთოდებს, რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი.

სწავლა-სწავლება მიმდინარეობს ლექციის, პრაქტიკული მუშაობისა და ელექტრონული სწავლების მეთოდებით.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი აქტივობები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- წიგნზე მუშაობა;
- წერითი მუშაობა;
- ვერბალური ახსნა–განმარტება;
- დემონსტრირება;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- დამოუკიდებელი სწავლა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- გონებრივი იერიში (Brain storming);

უნარი:

- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (lBD);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- ევრისტიკული მეთოდი; • გუნდური (collaborative) მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- ანალიზი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა);
- პრაქტიკული მეთოდები.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- დისკუსია-დებატები, რომელთა დროსაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მოცულობა - 120 ECTS კრედიტი მოიცავს სასწავლო, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს, კერძოდ:

- ძირითადი სწავლის სფეროს 30 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსები[1];
- ძირითადი სწავლის სფეროს 30 კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსები[2];
- სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი[3] – 30 კრედიტი;
- სავალდებულო სამეცნიერო კვლევის კომპონენტი[4] – 30 კრედიტი.

დანართი 1

სასწავლო კურსების განაწილება სემესტრებისა და კრედიტების მიხედვით

[1] აღნიშნულის ფარგლებში სტუდენტს პირველ სემესტრში მოეთხოვება 5 კრედიტიანი 6 საგნის (30 კრედიტი) ჩაბარება;

[2] აღნიშნულის ფარგლებში სტუდენტს მეორე სემესტრში მოეთხოვება სამართლის სხვადასხვა დარგების (კერძო სამართალი, საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი) სასწავლო კურსებიდან თავისუფალი არჩევანის საფუძველზე 6 საგნის (30 კრედიტი) ჩაბარება, ამავე სემესტრში სასწავლო დატვირთვის წლიური ოდენობის შეზღუდვების გათვალისწინებით;

[3] სტუდენტი პროფესიული პრაქტიკა ჩაბარებულად ჩაეთვლება, თუ მუშაობს იურისტის სპეციალობით, რასაც იგი ადასტურებს სამსახურებრივი ცნობით დამსაქმებლისა და მისი უშუალო სამუშაო ფუნქციების შესახებ, აგრეთვე, თუ სტუდენტი იმყოფება სტაჟირებაზე, აღნიშნული პრაქტიკის ობიექტად ჩაეთვლება.

[4] სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისთვის აუცილებელია სტუდენტს სრულად ჰქონდეს ათვისებული სასწავლო კურსების და პროფესიული პრაქტიკის ჯამში 90 კრედიტი.

სემესტრი	სავალდებულო სასწავლო კურსები	კონცენტრაციები	პროფესიული პრაქტიკა	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	სულ
I	30	-	-	-	30
II	-	30	-	-	30
III	-	-	30	-	30
IV	-	-	-	30	30
სულ:	**30**	**30**	**30**	**30**	**120**

სასწავლო გეგმა იხ.: დანართი2.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში*(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)* - არა უმეტეს 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა- არა ნაკლებ 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი შეფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი შეფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული იქნება შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

შეფასების სისტემა უშვებს:
ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება

დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა. თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

<u>შენიშვნა:</u>

1. შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით: *<u>საფუძველი:</u>* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3;აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის 15 სექტემბრის №1 (17/18) დადგენილება.
2. სტუდენტის შეფასების კრიტერიუმებიგანსაზღვრულიასასწავლო კურსების სილაბუსით;
3. პროგრამის თითოეული შედეგის სამიზნე ნიშნულად განისაზღვრა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 60 %-ის მიერ სხვადასხვა აქტივობებით გათვალისიწნებული მაქსიმალური ქულის 75%-ის მიღწევა. სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შედეგად;
4. რეფერატების და პროექტების შეფასებისას დაწესებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მაქსიმალური მისაღები ქულის მინიმუმ 60%, ხოლო პროფესიული პრაქტიკის შემთხვევაში - 70%;
5. პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვა მოხდება აკადემიურ წელიწადში ერთხელ, აღნიშნული სასწავლო კურსის ხელახლა განხორციელებამდე არაუგვიანეს 1 თვისა და დადარდება პროცენტულ მაჩვენებლებს;
6. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა მოხდება პროგრამაზე თანდართული კურიკულუმის რუკის მიხედვითი სემესტრის ბოლოს, სადაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი;
7. პროგრამის სწავლის შედეგებისგადახედვა და მონიტორინგი მოხდება 2 წლიან დინამიკაზე დაკვირვებით. დინამიკაში დაკვირვების შემდეგ თუ გამოვლინდა რეგრესი (სამიზნე ნიშნულებთან დაკვირვებისას) მოხდება სწავლის შედეგების და მიღწევის გზების გადახედვა და შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირება არსებული რეგულაციებისგ ათვალისწინებით.

<u>დასაქმების სფეროები</u>

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები. სამართლის მაგისტრს შეუძლია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განხორციელება და სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება.

<u>სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები</u>

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისათვის შეზღუდვის გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; იმიტირებული სასამართლო დარბაზი; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და სხვ.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები:

- აწსუ-ს XXI სასწავლო კორპუსი (მისამართი: ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №21);
- XXII კორპუსის ჯგუფური და ინდივიდუალური სამუშაო ოთახები;
- იურიდიული კლინიკა, 1230-ე აუდიტორია;
- იმიტირებული სასამართლო დარბაზი, 1231-ე აუდიტორია;
- კრიმინალისტიკის ლაბორატორია, აუდიტორია 1225ᵃ ;
- აწსუ-ს საბიბლიოთეკო XXII კორპუსი;
- აწსუ-ს I და XXII კორპუსების სამკითხველო დარბაზები;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების აუდიტორიები.
  უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით: https://library.atsu.edu.ge/scientific-bases.html

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები: პროგრამას ემსახურება სხვადასხვა მიმართულების როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები და მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტები, მათ შორის: პროფესორი – 1; ასოცირებული პროფესორი - 8; სამართლის დოქტორი, მოწვეული პროფესორი - 3; მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტი - 9.

	სახელი და გვარი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**თანამდებობა და სამუშაო გამოცდილება**
		აკადემიური პერსონალი	
1.	მამუკა შენგელია	სამეცნიერო წერის საფუძვლები	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის პროფესორი
2.	ეკატერინე ნინუა	შედარებითი სანივთო სამართალი	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
3.	რობიზონ ხურცილავა	სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკა; საარბიტრაჟო სამართალი	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
4.	ია ჩხეიძე	არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამა (პრაქტიკული პრობლემები და გამოწვევები)	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
5.	ირაკლი შენგელია	დაზარალებულის როლი დანაშაულში - ვიქტიმოლოგიური ასპექტები	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
6.	დავით ხობელია	შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკური პარტიების სამართალი	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
7.	ქეთევან კუხიანიძე	საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართლის ნოვაციები და სასამართლო პრაქტიკა	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის

		(ქართულ/ინგლისურ ენაზე)	ასოცირებული პროფესორი
8.	თამილა ხურციძე	სადაზღვევო დავები და სასამართლო პრაქტიკა	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
9.	კობა ბუაძე	ოპერატიული საქმიანობის თავისებურებანი	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
10.	ია ხარაზი	საერთაშორისო ბიზნეს სამართალი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
11.	მარინე მარინაშვილი	საკუთრების კონსტიტუციურ–სამართლებრივი საფუძვლები	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
12.	ბაკურ ლილუაშვილი	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	სამართლის დოქტორი, სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
13.	გელა სიორდია	სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და სასამართლო პრაქტიკა; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
14.	დარეჯან სალდაძე	დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართალი (ქართულ/ინგლისურ ენაზე)	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
15.	ხათუნა ხომერიკი	ადმინისტრაციული დავების სასამართლო წარმოება; ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
16.	თამარ ჭარბაძე	საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
17.	ზურაბ ბალავაძე	სასამართლო გადაწყვეტილებების ფორმულირება სისხლის სამართლის საქმეზე	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
18.	ნინო გულეიშვილი	ენერგომომხმარებლთა სამართლებრივი დაცვის საფუძვლები	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
19.	თამარ მესხია	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი (ქართულად/ინგლისურად); მოწმის დაკითხვის მეთოდები სისხლის სამართლის პროცესში	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
20.	მერაბ ტყეშელაშვილი	სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი
21.	ლაურა მიქავა	სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში	სამართლის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორი

№	კურსის დასახელება	კრ	წინაპირობ ა	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში						სემესტრი			
				სულ	საკონტაქტო				დამ	I	II	III	IV
					ლექცია	პრაქ.მეც.	გამოცდა	სულ					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები												
1.1	საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77	x			
1.2	ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77	x			
1.3	ადმინისტრაციული დავების სასამართლო წარმოება	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77	x			
1.4	სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და სასამართლო პრაქტიკა	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77	x			
1.5	მოწმის დაკითხვის მეთოდები სისხლის სამართლის პროცესში	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77	x			
1.6	სამეცნიერო წერის საფუძვლები	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77	x			
2	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები												
2.1	საჯარო სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსები												
2.1.1	დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართალი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77		x		
2.1.2	პოლიტიკური პარტიების სამართალი	4	წინაპირობის გარეშე	100	15	30	3	48	52		x		
2.1.3	შედარებითი კონსტიტუციური სამართალი	6	წინაპირობის გარეშე	150	15	45	3	63	87		x		
2.1.4	საკუთრების კონსტიტუციურ - სამართლებრივი საფუძვლები	6	წინაპირობის გარეშე	150	15	45	3	63	87		x		
2.1.5	საერთაშორისო საბაჟო სამართალი	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77		x		

2.1.6	ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77		x		
2.1.7	ენერგომომხმარებლთა სამართლებრივი დაცვის საფუძვლები	4	წინაპირობის გარეშე	100	15	30	3	48	52		x		
2.2	**კერძო სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსები**												
2.2.1	შედარებითი სანივთო სამართალი	4	წინაპირობის გარეშე	100	15	30	3	48	52		x		
2.2.2	საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართლის ნოვაციები და სასამართლო პრაქტიკა (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	6	წინაპირობის გარეშე	150	15	45	3	63	87		x		
2.2.3	საერთაშორისო ბიზნეს სამართალი	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77		x		
2.2.4	სადაზღვევო დავები და სასამართლო პრაქტიკა	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77		x		
2.2.5	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	4	წინაპირობის გარეშე	100	15	30	3	48	52		x		
2.2.6	სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა	6	წინაპირობის გარეშე	150	15	45	3	63	87		x		
2.2.7	სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკა	5	წინაპირობის გარეშე	125	15	45	3	63	87		x		
2.3	**სისხლის სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსები**												
2.3.1	სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77		x		
2.3.2	არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამა (პრაქტიკული პრობლემები და გამოწვევები)	6	წინაპირობის გარეშე	150	15	45	3	63	87		x		
2.3.3	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების სისხლის სამართლის საქმეებზე	4	წინაპირობის გარეშე	100	15	30	3	48	52		x		
2.3.4	სასამართლო გადაწყვეტილებების ფორმულირება სისხლის სამართლის საქმეებზე	6	წინაპირობის გარეშე	150	15	45	3	63	87		x		
2.3.5	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77		x		
2.3.6	ოპერატიული საქმიანობის თავისებურებანი	5	წინაპირობის გარეშე	125	15	30	3	48	77		x		

2.3.7	დაზარალებულის როლი დანაშაულში - ვიქტიმოლოგიური ასპექტები	4	წინაპირობის გარეშე	100	30	15	3	48	77		x		
3	**სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი**												
3.1	პროფესიული პრაქტიკა	30	წინაპირობის გარეშე	750								x	
4	**სავალდებულო სამეცნიერო კვლევის კომპონენტი**												
4.1	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	30	სასწავლო კურსების და პროფესიული პრაქტიკის ჯამში 90 კრედიტი.	750									X